

გასურ წელს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ბრადღებით 116 პირი ამხიდეს



შინაგან საქმეთა სამინისტრო გასურ წელს დანაშაულებრივ სტატისტიკას აქვეყნებს და აცხადებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხერხეუხეხობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და ასეთი კატეგორიის დანაშაულებზე,

არასრულწლოვან მსხვერპლთა ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა, შსს–ს ერთ-ერთი პრიორიტეტი და გამოწვევაა.

“2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ბრადღებით მხილებულ იქნა 116 პირი, რომელთაგან:

- 4 მხილებული იყო გაუპატიურების ჩადენაში (სსკ-ის 137-ე მუხლი);
- 2 – სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენაში (სსკ-ის 138-ე მუხლი);
- 24 – გარყვნილი ქმედების ჩადენაში (სსკ-ის 141-ე მუხლი);
- 86 – 16 წლის ასაკს მიუღწევად პირთან ნებაყოფლობით სექსუალურ კავშირში (სსკ-ის 140-ე მუხლი)“, – აცხადებენ შსს-ში.

შსს-ს ცნობით, არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ, სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრებას და მათთვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევას. მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ, დანაშაულის ჩამდენ პირებს აეკრძალებათ სასწავლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში მუშაობა, ასეთ დაწესებულებებში ყოფნა და ა.შ.

„კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე, 139-ე და 141-ე მუხლებით მსჯავრდებულ პირთა ბაზის შექმნას, რაც მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა მონიტორინგის გზით, დანაშაულის პრევენციას.

სექსუალური ძარადობის მსხვერპლთა ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი, რომელიც თებერვლიდან პიროტურად ამოქმედდება და რომლის მიზანი გამოძიების მიმდინარეობისას მსხვერპლთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და მათთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამართივებაა“, – აცხადებენ შსს-ში.